ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. მარტის 31. № 6 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

56. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

56. დადგენილება ც. ა. კ.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1930 წ. მაისის 1-დან მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

2. იმ ყოფილ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობისათვის, რომელთა ქორწინებაც მოისპო საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, ამ კოდექსის 23 მუხლის 1-ლი ნაწილით დაწესებული სამწლიანი ვადა უნდა იანგარიშებოდეს 1930 წლის მაისის 1-დან.

3. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. აპრილის 28-ის თარიღისა და 28 №-ის დეკრეტი „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“;

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. მარტის 13-ის თარიღისა და 12 №-ის დადგენილება „მოქალაქეთა მიერ გვარისა და სახელის გამოცვლის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 12);

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 26-ის თარიღისა და 54 №-ის დადგენილება „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის საქმის მაზრის მილიციის სამმართველოს გამგებლობისათვის ჩამორთმევისა და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსებულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროსათვის გადაცემის შესახებ“ (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 77);

დ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 22-ის თარიღისა და 66 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების თაობაზე 28 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-V თავის შეცვლის შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 110);

ე) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვლის 27-ის თარიღისა და 23 №-ის დადგენილება „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი განყოფილებისათვის განქორწინების საქმეების გადაცემის შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 30);

ვ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 1-ლის თარიღისა და 61 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ 1921 წ. აპრილის 28-ის თარიღითა და 28 №-ით გამოცემული დეკრეტის 34 მუხლის შეცვლის შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. 13 №-ი, მუხ. 125);

ზ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების თაობაზე 28 №-ით გამოცემული საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტისათვის 143[9] მუხლის დამატების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 17 №-ი, მუხ. 186);

თ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივნისის 16-ის თარიღისა და 101 №-ის დადგენილება „მეურვეობის შესახებ“ (კან. კრ. 1923 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 46).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. იანვრის 21.

ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი.

კარი პირველი.

ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა.

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. ქორწინება უნდა მოხდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში რეგისტრაციით იმ წესისამებრ, რაც აღნიშნულია ამა კოდექსის მეოთხე კარში. ქორწინების რეგისტრაცია შემოღებულია როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის გასაადვილებლად.

2. ქორწინების რეგისტრაცია მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ქორწინების დამამტკიცებელი საბუთია. იმ დოკუმენტს და მოწმეთა ჩვენებას, რითაც დასტურდება, რომ ქორწინება რელიგიური წესით მოხდა, არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს.

შენიშვნა. ისეთ ქორწინებას, რომელიც რელიგიური წესით მოხდა „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ გამოცემული საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 28-ის თარიღისა და 28 №-ის დეკრეტის ფაქტიურად განხორციელებამდე, ისეთივე ძალა აქვს, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას.

3. იმ პირთ, რომელნიც ფაქტიურად შეუღლებული არიან, ხოლო ეს შეუღლება დადგენილი წესისამებრ რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ, უფლება აქვთ ყოველთვის რეგისტრაციის საშუალებით გააფორმონ თავისი ურთიერთობა იმ ვადის აღნიშვნით, რომლის განმავლობაშიაც ისინი ფაქტიურად ერთად ცხოვრობენ.

თ ა ვ ი II.

ქორწინების პირობები.

4. დაქორწინებისათვის საჭიროა:

ა) ორივე მხარის თანხმობა,

ბ) საქორწინო ასაკი და

გ) ამა კოდექსის 140 მუხ. აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა.

5. საქორწინო ასაკად ქალისათვის დაწესებულია 16 წელი, მამაკაცისათვის—18 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. არ შეიძლება დაქორწინება:

ა) იმ პირისა, რომელიც უკვე დაქორწინებულია რეგისტრაციაში გატარებული ან ურეგისტრაციო ქორწინებით;

ბ) იმ პირისა, რომელიც, კანონით დადგენილი წესისამებრ, ცნობილია ჭკუანაკლებად ან სულით ავადმყოფად, ან-და რომელიც დროებით ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლიან შეიგნოს თავისი საქციელის მნიშვნელობა;

გ) მეურვისა მეურვეობაში მყოფთან და შვილად ამყვანისა შვილად აყვანილთან იმ დრომდე, ვიდრე მათ შორის არ მოისპობა მეურვეობიდან და შვილად აყვანიდან გამომდინარე იურიდიული ურთიერთობა;

დ) პირდაპირი აღმავალი ან შთამავალი შტოის ნათესავებისა (მამისა ქალიშვილთან, დედისა ვაჟიშვილთან, პაპისა შვილიშვილთან და სხვ.), ძმებისა და დებისა, მიუხედავად იმისა, ერთნი არიან ისინი დედითაც და მამითაც, თუ მამით ერთნი არიან და დედით სხვადასხვა, ან და დედით ერთნი და მამით სხვადასხვა.

თავი III.

ქორწინების ბათილობა.

7. ქორწინების გაბათილება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8. ქორწინება გაბათილდება, უკეთუ მეუღლენი ან ერთ-ერთი მათგანი დაქორწინების დროისათვის საქორწინო ასაკს არ მიღწევია, გარდა იმ შემთხვევისა:

ა) როდესაც სასამართლოში ქორწინების გაბათილების საკითხის გადაწყვეტის მომენტისათვის მეუღლეთ საქორწინო ასაკს უკვე მიაღწიეს;

ბ) როდესაც ქორწინებას მოჰყვა შვილის გაჩენა ან ცოლის დაორსულება;

გ) როდესაც ცოლქმრულმა ურთიერთობამ გამოიწვია ერთ-ერთი მეუღლის ავადმყოფობა ან შრომის უნარის დაკარგვა.

9. ქორწინება გაბათილდება, უკეთუ იგი მოხდა ამა კოდექსის 4—6 მუხლებში აღნიშნული პირობების დარღვევით.

შენიშვნა. უკეთუ ქორწინება გაბათილდა ამა კოდექსის მე-6 მუხლის „ა“ პუნქტში გათვალისწინებული პირობის დარღვევის გამო, ძალაში დარჩება წინა ქორწინება.

10. ქორწინების გაბათილების შესახებ საქმის აღძვრა შეუძლიან მეუღლეს, იმ პირს, ვისი ინტერესებიც ამ ქორწინებით დარღვეულია, და აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს.

11. საქმეს ქორწინების გაბათილების შესახებ განიხილავს სახალხო სასამართლო.

12. ქორწინების გაბათილების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ქორწინება ბათილად ჩაითვლება იმ დროიდან, როდესაც იგი მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ის პირნი, რომელთა ქორწინებაც გაბათილებულ იქნა, შეიძლება ხელ-ახლად დაქორწინდნენ საერთო წესით, უკეთუ აღარ იქნება ის საფუძველი, რომლის გამოც ქორწინება გაბათილდა.

თ ა ვ ი IV.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი.

14. მეუღლეთ შეუძლიანთ ქორწინების რეგისტრაციის დროს განაცხადონ, რომ მათ სურთ იქონიონ ქმრის ან ცოლის გვარი, ან შეერთებული გვარი ორ-ვესი, ან და დაიტოვონ თავ-თავისი გვარი.

15. უკეთუ საქართველოს სსრ მოქალაქე დაქორწინდება უცხო სახელ-მწიფოს მოქალაქესთან, თვითეული მათგანი რეგისტრაციის დროს შეინარჩუნებს თავის მოქალაქეობას. ამ პირთა მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება საკავშირო კანონით დადგენილი წესისამებრ.

16. უკეთუ ერთ-ერთი მეუღლე საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის, მეორე ვალდებული არ არის გაჰყვეს მას.

17. ქონება, რაც მეუღლეთ დაქორწინებამდე ეკუთვნოდათ, რჩება მათ განკერძოებულ ქონებად. ქონება, შეძენილი მეუღლეთა მიერ საერთო შრომით ქორწინების განმავლობაში, ეკუთვნის ორსავე თანასწორ წილად.

შენიშვნა. ცოლის შრომა, რომელსაც იგი ეწევა ოჯახის გასაძღოლად ან შვილების მოსავლელად, იმავე უფლებას ანიჭებს ცოლს ქონებაზე, რა-საც ანიჭებს ქმარს მისი შრომა, გაწეული ცხოვრების სახსრის მოსაპოებლად.

18. ამა კოდექსის 17 მუხლის მოქმედება გავრცელდება აგრეთვე იმ პირთა ქონებაზედაც, რომელნიც ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფებიან.

19. უკეთუ ქორწინება რეგისტრაციაში გატარებული არ ყოფილა, საქორ-წინო ურთიერთობის დამამტკიცებელ საბუთს სასამართლოსათვის წარმოადგენს: ერთად ცხოვრების ფაქტი, საერთო მეურნეობა ერთად ცხოვრების დროს და ცოლქმრული ურთიერთობის გამოჩენა მესამე პირთა წინაშე პირადი მიწერ-მოწერით და სხვა რამ დოკუმენტით, აგრეთვე, გარემოებათა მიხედვით, ურთი-ერთ მატერიალური დახმარება, შვილების ერთად აღზრდა და სხვ.

20. უკეთუ ქორწინება მოხდა არასრულწლოვანთა შორის (მუხ. 5), მათ-თვის დაწესებული მზრუნველობა მოისპობა.

21. მეუღლეთ შეუძლიანთ დასდონ ურთიერთ შორის ყველა კანონით ნება-დართული ქონებრივი ხელშეკრულობა. ისეთი შეთანხმება მეუღლეთა შორის, რომელიც შეზღუდავს ცოლის ან ქმრის ქონებრივ უფლებას, ბათილია; იგი სა-ვალდებულო არ არის არც მესამე პირისათვის და არც თვით მეუღლეთათვის, რომელთაც შეუძლიანთ ყოველ დროს უარი სთქვან მის შესრულებაზე.

22. გაჭირვებულს შრომისუნარმოკლებულ მეუღლეს უფლება აქვს მოს-თხოვოს თავის შენახვა მეორე მეუღლეს, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ ამ უკანას-კნელს შეუძლიან მეუღლისათვის დახმარების აღმოჩენა. თავის შენახვის მოთხოვნის უფლება აქვს აგრეთვე შრომისუნარიან გაჭირვებულ მეუღლესაც უმუშევრობის დროის განმავლობაში.

23. გაჭირვებულ შრომისუნარმოკლებულ მეუღლეს უფლება აქვს სამი წლის განმავლობაში ქორწინების მოსპობის შემდეგ მიიღოს მეორე მეუღლისაგან სარჩო, უკეთუ ამ უკანასკნელს შეუძლიან ქონებრივი დახმარების აღმოჩენა, და უკეთუ მეუღლემ შრომის უნარი დაჰკარგა ქორწინებამდე, ქორწინებაში ყოფნის დროს, ან თუნდაც ქორწინების შემდეგ, ხოლო ქორწინებასთან დაკავშირებით.

სარჩოს მიღების უფლება აქვს აგრეთვე გაჭირვებულ შრომისუნარიან მეუღლეს უმუშევრობის დროს ერთი წლის განმავლობაში განქორწინების შემდეგ.

სარჩოს მიღების უფლება ყოველ შემთხვევაში მოისპობა, უკეთუ სარჩოს მიმღები მეუღლე ხელახლად დაქორწინდება ან სარჩოს მიმცემი მეუღლე გარდაიცვლება.

24. სარჩოს მიღების უფლება როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე ქორწინების მოსპობის შემდეგაც აქვთ აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც თუმცა თავისი ცოლქმრული ურთიერთობა რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ, მაგრამ ფაქტიურად შეუღლებული არიან,—უკეთუ მათი ურთიერთობა შეესაბამება ამა კოდექსის 19 მუხლში აღნიშნულ პირობებს.

25. ქორწინება მოისპობა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით და აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოს წესით გარდაცვალებულად იქნება გამოცხადებული.

26. ქორწინება, ვიდრე მეუღლენი ცოცხალი არიან, შეიძლება მოისპოს როგორც მეუღლეთა თანხმობით, ისე ერთ-ერთი მათგანის სურვილითაც (განქორწინება).

27. ცოცხალ მეუღლეთა ქორწინების მოსპობა (განქორწინება) გატარდება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს რეგისტრაციაში; მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთრის ეს ჩანაწერი განქორწინების უდაო დამამტკიცებელი საბუთია.

28. ქორწინების მოსპობის ფაქტი, უკეთუ განქორწინება რეგისტრაციაში არ იყო გატარებული, სასამართლოსაც შეუძლიან დაადასტუროს.

29. განქორწინების რეგისტრაციის დროს მეუღლენი განაცხადებენ—თვითეულ მათგანს რა გვარი სურს ატაროს. უკეთუ მეუღლენი ამ საკითხში ვერ შეთანხმდებიან, თვითეულ მათგანს მიეკუთვნება ის გვარი, რომელიც მას ქორწინებამდე ჰქონდა. უკეთუ ქორწინება მოისპო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვალებულად გამოცხადების გამო, ცოცხალი მეუღლე შეინარჩუნებს დაქორწინების დროს მიღებულ გვარს.

30. ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს აუცილებლად უნდა გამოირკვეს საკითხი, თუ რომელ მეუღლესთან რომელი შვილი დარჩება აღსაზრდელად და რომელი მეუღლე რამდენს გაიღებს შვილების შესანახად; აგრეთვე უნდა გამოირკვეს შრომისუნარმოკლებული მეუღლისათვის მისაცემი სარჩოს რაოდენობა. უკეთუ მეუღლენი ამ საკითხში შეთანხმდებიან, ეს გარემოება აღინიშნება ქორწინების მოსპობის სარეგისტრაციო დავთარში და ამონაწერი მიეცემა ორსავე მეუღლეს; ეს შეთანხმება არ ართმევს არც ერთ ყოფილ მეუღლეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მათ შვილებს უფლებას ისარჩელონ შემდგომ საერთო წესით სარჩო იმაზე მეტი რაოდენობით, რაც ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია.

31. უკეთუ შეთანხმებაში აღნიშნული ვალდებულებანი შესრულებულ არ იქნა, დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიმართოს სანოტარო ორგანოს აღსრულების წარწერის მისაღებად—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის წესისამებრ.

32. უკეთუ მეუღლენი ვერ შეთანხმდნენ, საკითხი შვილების შესანახი სარჩოს რაოდენობის შესახებ გადაწყდება საერთო სასარჩელო წესით; ამასთანავე სასამართლოს, სასარჩელო განცხადების მიღებისათანავე, შეუძლიან, გარემოებათა მიხედვით და შვილების ინტერესების დასაცავად, დაადგინოს, თუ მშობელთაგან რომელმა და რა ხარჯი უნდა გასწიოს დროებით, დავის გადაწყვეტამდე, შვილების შესანახად და რომელ მათგანს უნდა დარჩეს შვილები დროებით აღსაზრდელად.

საერთო სასარჩელო წესით გადაწყდება აგრეთვე გაჭირვებული შრომისუნარმოკლებული ან უმუშევარი მეუღლისათვის მისაცემი სარჩოს რაოდენობის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლენი ამ საგანზე ვერ შეთანხმდებიან.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲛᲨᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ.

ᲗᲐᲕᲘ V.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

33. შვილებისა და მშობლების ურთიერთი უფლებანი დამყარებულია სისხლით შთამომავლობაზე. შვილებს, რომელთა მშობლებიც დაქორწინებული არ ყოფილან, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც დაქორწინებულ პირთა შვილებს.

34. ბავშვის დედ-მამა ჩაიწერება დაბადების სარეგისტრაციო დავთარში.

35. უკეთუ ბავშვის მშობლები ჩაწერილი არ არიან, ან უკეთუ ჩანაწერი მათ შესახებ არ არის სწორი ან სრული, დაინტერესებულ პირთ უფლება აქვთ დაამტკიცონ ან უარჰყონ დედობა ან მამობა სასამართლოს წესით.

36. ყოველ ორსულ ქალს და აგრეთვე იმ ქალს, რომელმაც შვა, იმისდამიუხედავად, დაქორწინებულია იგი თუ არა, უფლება აქვს შეიტანოს განცხადება ბავშვის მამის შესახებ მოქალაქობრივი აქტების ჩამწერ ორგანოში იმ ადგილას, სადაც თვითონ ცხოვრობს; ამ განცხადებაში უნდა აღინიშნოს ბავშვის მამად დასახელებული პირის გვარი, სახელი და მამის სახელი და საცხოვრებელი ან მუშაობის თუ სამსახურის ადგილი.

უკეთუ ბავშვი დაბადებულია, აღნიშნული განცხადების შეტანა შეიძლება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ბავშვის დაბადებისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მამობის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით.

ორსული ქალის განცხადებას უნდა დაერთოს ექიმის მოწმობა, რომელიც დაადასტურებს როგორც ორსულობის ფაქტს, ისე დაახლოვებით ბავშვის ჩასახვის დროსაც; ეს განცხადება შეიძლება დაადასტუროს მომავალი ბავშვის მამამ და ასეთი დადასტურება ბავშვის თავის შვილად აღიარებას უდრის.

37. როდესაც განცხადებას ორსულობის ან ბავშვის დაბადების შესახებ შეიტანს მხოლოდ დედა ბავშვის მამის დასახელებით, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანო სამი დღის განმავლობაში გაუგზავნის შეტყობინებას განცხადებაში მამად დასახელებულ პირს და დაავალებს მას—ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც იგი შეტყობინებას ხელწერილით ჩაიბარებს, აცნობოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს, სცნობს თუ არა იგი თავის თავს ბავშვის მამად.

უკეთუ განცხადებაში მამად დასახელებული პირი ბავშვს თავის შვილად არ სცნობს, ბავშვის დედას შეუძლიან ამ პირის მამობა დაამტკიცოს საერთო სასარჩელო წესისამებრ, სასამართლოს მეშვეობით.

შენიშვნა. უკეთუ დედამ განცხადებაში ბავშვის მამად დაასახელა თავისი ქმარი, რომელიც ბავშვის ჩასახვის შემდეგ გარდაიცვალა, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ორგანომ, დედის განცხადების თანახმად, სარეგისტრაციო დავთარში ბავშვის მამად გარდაცვალებული უნდა ჩასწეროს.

38. უკეთუ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში სრულიად არ იქნება ან სწორად არ იქნება ჩაწერილი ბავშვის მშობლები, ან უკეთუ სწორად არ იქნება აღნიშნული ბავშვის დაბადების დრო, დაინტერესებულ პირთ და დაწესებულებათ უფლება აქვთ დაამტკიცონ ან იდავონ სასამართლოს წესით ბავშვის გაჩენა განსაზღვრული მშობლებისაგან ან განსაზღვრული მამისა თუ დედისაგან და აგრეთვე ბავშვის დაბადების დრო.

შენიშვნა 1. უკეთუ სასამართლოში აღიძვრის საქმე იმის შესახებ, რომ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში ბავშვის მშობლები სწორად არ არიან ჩაწერილი და რომ ბავშვის მამად თუ დედად ცნობილ უნდა იქნეს სხვა პირი და არა ის, ვინც დავთარში აღნიშნულია ბავშვის მამად თუ დედად, სასამართლო ასეთ საქმეს გადასწყვეტს მხოლოდ ბავშვის ინტერესების მიხედვით და ვალდებულია უარი უთხრას სარჩელზე ნამდვილ მამას ან დედას, უკეთუ ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს.

შენიშვნა 2. უკეთუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ბავშვის შთამომავლობის შესახებ ან იმის შესახებ, სწორეა თუ არ არის სწორე ჩანაწერი, სათანადო ჩაწერა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით.

39. ის პირი, ვინც მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოში შეტანილი განცხადებით თავის თავს ბავშვის მამად სცნობს ან დადგენილი წესისამებრ ბავშვის მამად იქნება ცნობილი, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს იმ ხარჯში, რაც გამოწვეულია ორსულობით, მშობიარობით და ბავშვის კვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული პირი ვალდებულია აგრეთვე ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს ბავშვის გაჭირვებულ დედას ორსულობის დროს და ერთი წლის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ.

40. უკეთუ სასამართლოში მამობის დამტკიცების საქმის განხილვის დროს გამოირკვევა, რომ დედას ბავშვის ჩასახვის პერიოდში სქესობრივი კავშირი ჰქონდა, იმ პირის გარდა, ვინც მის განცხადებაშია დასახელებული, კიდევ სხვა პირებთანაც, სასამართლო მიიღებს მხედველობაში მარტოოდენ ბავშვის ინტერესებს, აღნიშნულ პირთაგან ერთს სცნობს ბავშვის მამად და დააკისრებს მას ყველა იმ მოვალეობას, რაც გათვალისწინებულია ამა კოდექსის 39 მუხლში.

თავი VI.

ნათესავების უფლება-მოვალეობანი.

41. მშობლიური უფლება განხორციელდება მხოლოდ შვილების ინტერესების მიხედვით, და უკეთუ იგი მართლშეუსაბამოდ იქნა გამოყენებული, სასამართლოს შეუძლიან ჩამოართვას მშობლებს მათი უფლება.

42. უკეთუ მშობლებს საერთო გვარი აქვთ, ეს გვარი მიეკუთვნება შვილებსაც. უკეთუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილებს მიეცემათ, მშობელთა შეთანხმების მიხედვით, მამის ან დედის გვარი ან და შეერთებული გვარი. უკეთუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო მისცემს ბავშვს მამის ან დედის გვარს. უკეთუ ცნობილი არ არის, თუ ვინაა მამა, ბავშვს დედის გვარი მიეცემა. უკეთუ ქორწინება მოისპო, ბავშვს დარჩება დაბადების რეგისტრაციის დროს მიცემული გვარი.

43. უკეთუ მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, შვილების მოქალაქეობა განისაზღვრება სსრ კავშირის კანონით.

44. ყოველ ღონისძიებას შვილის მიმართ ორივე მშობელი ერთად მიიღებს.

მშობლები ვალდებული არიან იზრუნონ არასრულწლოვანი შვილისათვის: აღზარდონ იგი ისეთი მიმართულებით, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს შეეფერება, განავითარონ ფიზიკურად, ასწავლონ და მოამზადონ იგი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობისათვის.

45. უკეთუ რაიმე საკითხში მშობლები ვერ შეთანხმდებიან, სადაო საკითხს გადასწყვეტს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო მშობელთა მონაწილეობით.

46. უკეთუ მშობლები ერთად არ ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი; უკეთუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ, საკითხს გადასწყვეტს სახალხო სასამართლო საერთო სასარჩელო წესისამებრ.

47. მშობლები ვალდებული არიან შეინახონ არასრულწლოვანი შვილი, სრულწლოვანი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი შრომისუუნარობის ან უმუშევრობის გამო გაჭირვებაშია და უკეთუ ამასთანავე მშობლებს თავისი ქონებრივი მდგომარეობით შეუძლიანთ მას დახმარება აღმოუჩინონ.

48. არასრულწლოვანი და გაჭირვებული შრომისუნარმოკლებული შვილის შენახვა დაეკისრება აგრეთვე მამინაცვალს ან დედინაცვალს იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ მისი მშობლები გარდაიცვალენ;

ბ) უკეთუ მშობლებს საკმარისი სახსარი არა აქვთ შვილების შესანახად.

აღნიშნული მოვალეობა მამინაცვალს ან დედინაცვალს დაეკისრება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ბავშვს მამინაცვალი ან დედინაცვალი ინახავდა თუ ზრდიდა მამისა ან დედის გარდაცვალებამდე ან და ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული პირობის დადგომამდე.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული მოვალეობა გადადის აგრეთვე ყველა პირზე, ვინც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 418 და 421 მუხლების წესისამებრ მიიღებს იმ მამინაცვლის ან დედინაცვლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებას, რომელიც ინახავდა ან რომელიც კანონით ვალდებული იყო შეენახა თავისი გერი; ამასთანავე ეს მოვალეობა გადადის მიღებული ქონების ფარგლებში. უკეთუ აღნიშნული ქონება რამდენიმე პირმა მიიღო, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად და თვითეული მათგანის მიერ მიღებული ქონების პროპორციონალურად.

49. გერი ვალდებულია შეინახოს გაჭირვებული შრომისუნარმოკლებული მამინაცვალი ან დედინაცვალი, უკეთუ იგი მათ რჩენაზე იმყოფებოდა.

50. არასრულწლოვანი შვილის პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა ეკისრება მშობელთ, რომელნიც შვილის ბუნებრივი წარმომადგენელნი არიან როგორც სასამართლოში, ისე სხვა დაწესებულებაშიაც.

51. მშობლებს უფლება აქვთ მოსთხოვონ, სასარჩელო წესით, შვილის დაბრუნება ყველას, ვინც მას თავისთან ამყოფებს კანონის ან სასამართლოს დადგენილების გარეშე; ამასთანავე სასამართლო ფორმალურად მშობელთა უფლებით შეზღუდული არ არის და ყოველ ცალკე შემთხვევაში საკითხს მარტოოდენ შვილის ინტერესების მიხედვით გადასწყვეტს. უკეთუ სასამართლო მშობლებს თხოვნაზე უარს ეტყვის, ეს გარემოება მან უნდა აცნობოს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს მეურვის დასანიშნავად.

52. მშობელთ უფლება აქვთ დასდონ, შვილის თანხმობით, შვილის შეგირდობის ხელშეკრულობა და დაქირავებით მუშაობის ხელშეკრულობა იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით.

53. უკეთუ მშობლები თავის მოვალეობას არ ასრულებენ ან თავის უფლებას შვილის მიმართ სწორედ არ ანხორციელებენ, ან და უკეთუ ისინი მკაცრად ეპყრობიან შვილს, სასამართლო დაადგენს—ჩამოერთვას მშობლებს მშობლიური უფლება, ჩამოერთვას მათ შვილი და გადაეცეს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს; თანაც სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს, რომ ბავშვს სარჩო ორივე მშობელმა აძლიოს. ასეთი საქმე გადაწყდება მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს წარმომადგენლის დასკვნა.

54. მშობლიური უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმის აღძვრა სასამართლოში შეუძლიან სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას და აგრეთვე დაინტერესებულ პირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურვეო ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დაადგინოს, რომ ბავშვი ჩამოერთვას მშობელთ და სხვა პირს, ვის ზრუნვაზედაც იგი იმყოფება, უკეთუ მათთან ბავშვის დატოვება ამ უკანასკნელისათვის საშიშია.

55. სასამართლოს წესით მშობლიურ უფლებას მოკლებული მშობელი არ ჰკარგავს უფლებას ინახულოს თავისი შვილი, რომელიც სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს მზრუნველობაშია; ხოლო სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს შეუძლიან არ მისცეს მშობელს შვილის ნახვის ნება, უკეთუ სცნობს, რომ ასეთი ნახვა შეიძლება მავნებელი იქნეს არასრულწლოვანი ბავშვისათვის.

56. მშობლიური უფლების ჩამორთმევა არ ანთავისუფლებს მშობელთ შვილის შენახვისა და აღზრდისათვის საჭირო ხარჯისაგან.

57. შვილი ვალდებულია შეინახოს თავისი გაჭირვებული მშობელი, უკეთუ იგი შრომისუნარმოკლებული ან უმუშევარია.

თვითეული შვილის მონაწილეობა მშობლის შენახვაში განისაზღვრება იმისდამიხედვით, თუ რამდენად გაჭირვებულია მშობელი, რამდენად არის იგი მოკლებული შრომის უნარს და როგორია თვითეული შვილის ქონებრივი მდგომარეობა.

58. უკეთუ მშობელს არ სურს შვილის შენახვა ან უკეთუ შვილს არ სურს მშობლის შენახვა, ამა კოდექსის 47 და 57 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმ პირს, რომელსაც უფლება აქვს თავისი შენახვა მოითხოვოს, შეუძლიან ისარჩელოს ამაზე სასამართლოში.

შენიშვნა. უკეთუ მშობლების ან შვილების ქონებრივი მდგომარეობა შეიცვლება, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეცვლილ იქნეს საერთო სასარჩელო წესით.

59. ის პირნი, რომელნიც ვალდებულ არიან თანაზიარად შეინახონ ვინმე, პასუხს აგებენ თანასწორ წილად, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც სასამართლო, ვალდებულ პირთა სხვადასხვა ქონებრივი მდგომარეობის გამო ან იმის გამო, რომ ერთი მათგანი სხვაგან იმყოფება (ან და სხვა რამ პატივსადები მიზეზის გამო), საჭიროდ სცნობს სხვანაირად გაანაწილის ამ მოვალეობის შესრულება.

შენიშვნა. მშობლებისა და შვილების უფლება კომლის ქონებაზე განისაზღვრება მიწის კოდექსის სათანადო მუხლებით.

60. გაჭირვებულ არასრულწლოვან დასა და ძმას უფლება აქვს მოსთხოვოს თავის შენახვა ძმებსა და დებს, რომელთაც საკმაო სახსარი მოეპოებათ, იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს არ შეუძლიანთ მისი შენახვა სხვაგან ყოფნის ან უსახსრობის გამო.

61. გაჭირვებულ და შრომისუნარმოკლებულ პაპას ან დიდედას უფლება აქვს მოსთხოვოს თავის შენახვა შვილიშვილს, რომელსაც საკმაო სახსარი მოეპოება, უკეთუ მეუღლეს ან შვილს არ შეუძლიან მისი შენახვა. ამგვარადვე, გაჭირვებულ არასრულწლოვან ან შრომისუნარმოკლებულ შვილიშვილს უფლება აქვს მოსთხოვოს თავის შენახვა საკმაო სახსარის მქონე პაპას და დიდედას, უკეთუ მშობლებს, ძმებსა და დებს მისი შენახვა არ შეუძლიანთ.

62. უკეთუ ბავშვის შესანახი სახსარი შრომითი მიწათმომქმედი მეურნეობის (კომლის) წევრს უნდა გადახდეს, ხოლო მისი პირადი სახსარი საკმარისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის ბავშვის უზრუნველსაყოფად, ბავშვს უფლება აქვს მიიღოს სარჩო კომლის საერთო ქონების იმ ნაწილიდან, რაც კომლის აღნიშნულ წევრს ერგება.

ამასთანავე ეს გადახდევინება:

ა) ნებადართულია კომლის მხოლოდ ისეთ წევრთა მიმართ, რომელნიც საერთო მეურნეობას ეწევიან, და

ბ) შეიძლება მიქცეულ იქნეს მარტოოდენ მეურნეობის ფულად თანხაზე და პროდუქტებზე, ხოლო არ შეიძლება იძულებით გამოყოფილ იქნეს მიწა, საქონელი, ინვენტარი და კომლის საერთო სამეურნეო მოწყობილობის სხვა რამ საგანი, უკეთუ ასეთი გამოყოფა არ მოხდა იმ წესით და იმ პირობებში, რაც მიწის კოდექსით გათვალისწინებულია შრომითი მიწათმომქმედი მეურნეობის (კომლის) გაყრისათვის.

თ ა ვ ი VII.

შ ვ ი ლ ა დ ა ყ ვ ა ნ ა.

63. შვილად შეიძლება აყვანილ იქნეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი და ისიც მხოლოდ ბავშვის ინტერესისათვის.

64. შვილად აყვანა შეუძლიან ყველას, ვისაც კი ოცი წელი შესრულებია, გარდა:

ა) ბერ-მონაზონისა და ყველა სარწმუნოების რელიგიური კულტის სასულიერო მსახურისა;

ბ) ყოფილი პოლიციის, ჟანდარმების ცალკე კორპუსის და საიდუმლო დაცვის განყოფილების (охранное отделение) მოსამსახურისა და აგენტისა, რუსეთის ყოფილი სამეფო გვარეულობის წევრისა და აგრეთვე იმ პირებისა, რომელნიც პოლიციის და ჟანდარმერიის მოქმედებას ხელმძღვანელობდენ;

გ) არაქმედობაუნარიანი პირისა;

დ) იმ პირისა, ვისაც სასამართლოს დადგენილებით ჩამორთმეული აქვს მშობლიური უფლება ან სხვა უფლება;

ე) შვილად ასაყვანის მოვალის ან კრედიტორისა და აგრეთვე იმ პირისა, ვისი ინტერესებიც შვილად ასაყვანის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

65. შვილად აყვანა მოხდება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს დადგენილებით და უნდა გატარდეს, საერთო წესით, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს რეგისტრაციაში, რომელ ორგანოსაც ამ მიზნით გაეგზავნება აღნიშნული დადგენილების ასლი.

66. შვილად აყვანის დროს შვილად აყვანილს შეიძლება მიეცეს შვილად ამყვანის გვარი, ხოლო, უკეთუ შვილად ამყვანი მამაკაცია—მამის სახელადაც მას შეიძლება შვილად ამყვანის სახელი მიეცეს. უკეთუ შვილად ცოლ-ქმარი აიყვანენ, შვილად აყვანილის გვარი მათი შეთანხმებით განისაზღვრება.

67. უკეთუ შვილად ასაყვანს მშობლები ჰყავს ან უკეთუ იგი მიცემულია მეურვეობასა ან მზრუნველობაში, მისი შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობლების, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ შვილად ასაყვანს მშობლები არა ჰყავს და იგი საბავშვო სახლში იმყოფება, შვილად აყვანისათვის საჭიროა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული არასრულწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის განყოფილების თანხმობა.

68. უკეთუ ვისიმე შვილად აყვანა სურს ისეთ პირს, რომელიც დაქორწინებულია, საჭიროა მისი მეუღლის თანხმობა.

69. ათი წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

70. არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ორმა ან მეტმა პირმა აიყვანოს შვილად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად ამყვანნი ცოლ-ქმარი არიან.

71. რამდენიმე პირის შვილად აყვანა შეიძლება.

72. მეურვეს ან მზრუნველს შეუძლიან მის მეურვეობასა თუ მზრუნველობაში მიცემულის შვილად აყვანა, ხოლო იმ პირობით, რომ შვილად ამყვანმა ხელი აიღოს თავის სამეურვეო მოვალეობაზე.

შენიშვნა. იმ დაწესებულებას, რომლის დადგენილებითაც შვილად აყვანა სწარმოებს, შეუძლიან ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიტანოს დადგენილება შვილად აყვანის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მეურვე მეურვეობაში მიცემულის მთელ ქონებას ახლად დანიშნულ მეურვეს ჩააბარებს.

73. შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანის მიმართ და შვილად ამყვანი შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ შეიძენენ ყველა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობას, როგორც შთამომავლობითი ნათესავები. ამავე დროს შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა ჰკარგავენ ყველა უფლებას და თავისუფლდებიან ყველა მოვალეობისაგან სხვა თავიანთი შთამომავლობითი ნათესავების მიმართ.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება გავრცელდება როგორც ყველა შვილად აყვანილზე, ისე იმ პირზედაც, ვინც ოჯახში შვილობილად იყო მიღებული ან ვინც ჩასიძებულია 1926 წ. სექტემბრის 27-მდე (კან. კრებ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 110).

74. არასრულწლოვანის ფაქტიური, იურიდიულად გაუფორმებელი მიღება ოჯახში წევრად სასამართლოს შეუძლიან საფუძვლად დაუდვას იმას, რომ არასრულწლოვანს მიანიჭოს შენახვის მოთხოვნის უფლება იმ პირისაგან, ვის ოჯახშიაც იგი მიღებული იყო.

75. ყოველ პირს და დაწესებულებას შეუძლიან სასამართლოში აღძრას სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, უკეთუ ამას შვილად აყვანილის ინტერესი მოითხოვს.

76. უკეთუ სასამართლომ გააუქმა შვილად აყვანა, იგი დაადგენს, რომ ბავშვი ჩამოერთვას შვილად ამყვანს, აღდგენილ იქნეს მშობლების უფლება და გადაეცეს ბავშვი მშობლებს, თუ მას მშობლები ჰყავს, ან სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს.

77. საბჭოთა მოქალაქის შვილის შვილად აყვანა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქის მიერ, უკეთუ ეს უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის მუშათა კლასს ან ისეთ გლეხთა წრეს, რომელიც სხვის შრომას არ იყენებს, შეიძლება ამა თავით გათვალისწინებული წესების დაცვით; ამის გარდა, აუცილებლად საჭიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში იმ ადგილის საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური ნებართვა, სადაც შვილად ასაყვანი ცხოვრობს; უკეთუ შვილად აყვანის მსურველი უცხოელი მოქალაქე მშრომელთა ზემოაღნიშნულ კატეგორიებს არ ეკუთვნის, საჭიროა სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა.

ᲧᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲗᲐᲕᲘ VIII.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

78. მეურვეობა და მზრუნველობა დაწესდება არაქმედობაუნარიანი პიროვნებისა, მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების და აგრეთვე მისი ქონების დასაცავად—კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

79. მეურვეობა დაწესდება არასრულწლოვანისათვის თოთხმეტ წლამდე და ისეთი პირისათვის, ვინც დადგენილი წესისამებრ ჭკუანაკლებად ან სულით ავადმყოფად იქნება ცნობილი. გარდა ამისა, მეურვეობა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესდება უგზო-უკვლოდ დაკარგულის და გარდაცვალებულის ქონებაზე. მეურვე ანხორციელებს ყველა უფლებას და ასრულებს ყველა მოვალეობას მეურვეობაში მიცემული პირის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად.

80. მზრუნველობა დაწესდება არასრულწლოვანი პირისათვის თოთხმეტი წლიდან თვრამეტ წლამდე და იმ სრულწლოვანისათვის, რომელსაც თავისი ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიან თვითონ დაიცვას თავისი უფლება.

81. მშობელი და შვილად ამყვანი ჩაითვლება მეურვედ ან მზრუნველად ისე, რომ სპეციალური დანიშვნა საჭირო არ არის.

82. ყოველგვარი სახის მეურვეობის საქმეს განაგებენ სათანადო ორგანოები, რომელნიც აღნიშნულ არიან სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოთა დებულებაში.

83. მეურვეობისა და მზრუნველობის უშუალო განხორციელებისათვის სამეურვეო ორგანო დანიშნავს მეურვეს ან მზრუნველს მეურვეობაში მიცემულის მახლობელ პირთაგან, ხოლო, თუ ასეთის დანიშვნა შეუძლებელია,—იმ პირთაგან, რომელთაც საამისოდ გამოჰყოფს პროფესიონალური ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, და უკეთუ ასეთიც არ მოიპოვება,—სხვა პირთაგან.

84. მეურვეობა და მზრუნველობა დაწესდება იმ ადგილის მიხედვით, სადაც მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემი პირი ცხოვრობს, ან სადაც ის ქონებაა, რომელზედაც მეურვეობა უნდა დაწესდეს (მუხ. 100).

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. მეურვის ან მზრუნველის არჩევის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მეურვედ თუ მზრუნველად დასანიშნავი პირის პირადი თვისებანი, აგრეთვე ის, თუ რამდენად შესწევს მას უნარი სათანადო მოვალეობანი შეასრულოს და რა დამოკიდებულება არსებობს ამ პირსა და მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემ პირს შორის; ამასთანავე საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, როდესაც ეს შესაძლებელია, მეურვეობაში მისაცემი პირის სურვილიც.

86. მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს:

ა) ის, ვინც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად მოკლებულია აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას;

ბ) ის, ვისაც სასამართლოს წესით ჩამორთმეული აქვს მშობლიური უფლება (მუხ. 53);

გ) ის, ვისი ინტერესებიც ეწინააღმდეგება იმ პირის ინტერესებს, რომელსაც უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი, და აგრეთვე ის, ვინც მტრულად არის მასთან განწყობილი;

დ) არასრულწლოვანი;

ე) ის, ვინც გამორიცხულია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება მშობლებსა და ახლო ნათესავებზე (მუხ. 6, პ. „დ“), ხოლო „დ“ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა—მშობლებზე.

87. მეურვედ ან მზრუნველად დანიშნულ პირს არ შეუძლიან უარი სთქვას ამ მოვალეობის შესრულებაზე, გარდა:

ა) იმ მამაკაცისა, რომელსაც შეუსრულდა 55 წელი, და იმ ქალისა, რომელსაც შეუსრულდა 50 წელი;

ბ) იმ პირისა, ვისაც ავადმყოფობისა, ფიზიკური ნაკლისა და ქონებრივი მდგომარეობის გამო, ან მოსაქმეობის თუ თანამდებობის გამო არ შეუძლიან ამ მოვალეობის შესრულება;

გ) იმ პირისა, ვინც თავისთან ორს ან ორზე მეტ ბავშვს ზრდის;

დ) ორსული ქალისა ან დედისა, რომელსაც თავისთან ჰყავს ბავშვი 8 წლამდე;

ე) იმ პირისა, ვინც უკვე არის მეურვედ ან მზრუნველად.

88. არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი ვალდებულია იზრუნოს მეურვეობაში მიცემულის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე, მის აღზრდაზე ისეთი მიმართულებით, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს შეეფერება, და მის სწავლებასა და მომზადებაზე საზოგადოებრივ-სასარგებლო მოღვაწეობისათვის. სულით ავადმყოფის ან ჭკუანაკლების მეურვე ვალდებულია მიიღოს ღონისძიება მეურვეობაში მიცემულის მკურნალობისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ აცხოვროს იგი ისეთ პირობებში, რაც მის ჯანმრთელობას შეეფერება.

89. მეურვეობისა და მზრუნველობის მოვალეობა უსასყიდლოდ შესრულდება, ხოლო უკეთუ არის ისეთი ქონება, რომელიც შემოსავალს იძლევა და მეურვეობის თუ მზრუნველობის ორგანოს გამგებლობაშია, აღნიშნულ ორგანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლიან დაუნიშნოს მეურვეს ან მზრუნველს გასამრჯელო არა უმეტეს ქონების წმინდა შემოსავლის 10 %-ისა.

90. მეურვეობაში მიცემული პირის შენახვისათვის საჭირო ხარჯი, რასაც სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო საჭიროდ და სასარგებლოდ სცნობს, გაიღება მეურვეობაში მიცემულის ქონების შემოსავლიდან, ხოლო უკეთუ ქონების შემოსავალი საკმარისი არ არის ან ეს ქონება არავითარ შემოსავალს არ იძლევა, თვით ამ ქონებიდან, რომელიც შეიძლება გასხვისებულ იქნეს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს ნებართვით.

შენიშვნა. უკეთუ მეურვეობაში მიცემულს არავითარი ქონება არა აქვს, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო აღძრავს შუამდგომლობას სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს წინაშე, რათა მეურვეს მიეცეს სახსარი მეურვეობაში მიცემულის შესანახად.

91. მეურვეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეურვეობაში მიცემული ყველას, ვინც მას უკანონოდ თავისთან ამყოფებს.

92. საქართველოს სსრ იმ მოქალაქეთა სამეურვეო ან სამზრუნველო საქმეებს, ვინც თვითონ ან ვისი ქონებაც სსრ კავშირის ფარგლების გარეთ არის, განაგებს სსრ კავშირის წარმომადგენლობა საზღვარგარეთ.

თ ა ვ ი IX.

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი.

93. მეურვის მოვალეობას შეადგენს იზრუნოს მეურვეობაში მიცემულისათვის, განაგოს მისი ქონება და იყოს მისი წარმომადგენელი ყველა საქმეში და შემთხვევაში.

94. მეურვეს შეუძლიან დასდოს ყოველგვარი გარიგება, რის დადებაც შეეძლებოდა თვით მეურვეობაში მიცემულს, ქმედობაუნარიანი რომ ყოფილიყო, ან იმ ქონების პატრონს, რაზედაც მეურვეობაა დაწესებული; ხოლო მეურვეს არ შეუძლიან: ა) ქონების გასხვისება, ბ) ქონების დაგირავება, გ) თამასუქის და სხვა სავალო ვალდებულების გაცემა, დ) კანონით ან ანდერძით მიკუთვნებულ სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმა, ე) ქონების გაცემა გრძელვადიანი იჯარით (ერთ წელზე მეტი ვადით), ვ) მეურვეობაში მიცემულის საწარმოს მოქმედების მოსპობა, ზ) ამხანაგობის ხელშეკრულობის დადება, თ) სამოქალაქო საქმის შერიგებით გათავება. ყველა ამ მოქმედების შესრულებისათვის საჭიროა სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოების თანხმობა. სრულიად არ შეიძლება მეურვეობაში მიცემულის ქონების გაჩუქება და აგრეთვე მისი სახელით თავდებობის ხელშეკრულობის დადება.

შენიშვნა. ისეთი ქონება, რომელიც მალე ფუჭდება, ან ისეთი, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით გასაყიდად არის დანიშნული, შეიძლება გაიყიდოს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების უნებართვოდ.

95. ქონების გასხვისების ან დაგირავებისათვის ნებართვის მიცემის დროს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანომ უნდა განუმარტოს მეურვეს, თუ რა საჭიროებას უნდა მოხმარდეს მიღებული თანხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96. მეურვეს არ შეუძლიან დასდოს რაიმე გარიგება იმ პირთან, ვინც მის მეურვეობაშია მიცემული, ან იყოს მის წარმომადგენლად თავის მეუღლესა ან ამა კოდექსის მე-6 მუხლში აღნიშნულ თავის ნათესავთა და მეურვეობაში მიცემულს შორის გარიგების დადების და სასამართლოში საქმის წარმოების დროს, ან და შეიძინოს მეურვეობაში მიცემულის სავალო ვალდებულება; იმ ვალის გადახდა, რაც მეურვეობაში მიცემულს მეურვის მეუღლის ან მეურვის ნათესავის (მუხ. 6) ჰმართებს და რაც აღებული იყო იმ დრომდე, ვიდრე ეს პირი მეურვედ დაინიშნებოდა, მოხდება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს ნებართვით.

97. მეურვეობაში მიცემული არასრულწლოვანის მიბარება აღსაზრდელად ან სასწავლად ან სულით ავადმყოფის მიცემა სხვა პირისათვის შესანახად მეურვეს შეუძლიან მხოლოდ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს ნებართვით.

98. იმ პირს, ვისაც ამა კოდექსის 80 მუხლის თანახმად მზრუნველობა დაეწესა, გარიგების დადება შეუძლიან მხოლოდ მზრუნველის თანხმობით. ამა კოდექსის 94 მუხლში ჩამოთვლილი ყველა შეზღუდვა გავრცელდება მზრუნველზედაც. ისეთი გარიგების დადებისათვის, რაც მზრუნველობაში მიცემულის პირადი შრომით მოპოებულ საგანსა და თანხას შეეხება, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს თანხმობა საჭირო არ არის.

99. მეურვე თუ მზრუნველი იცავს მეურვეობასა და მზრუნველობაში მიცემული პირის უფლებას და ინტერესს ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც, და აგრეთვე ქონებრივი ხელშეკრულობის დადების დროს.

100. უკეთუ მეურვე ან მზრუნველი დაუდევრობას გამოიჩენს ან თავის უფლებამოსილობას ბოროტად გამოიყენებს, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს შეუძლიან როგორც თავისი თაოსნობით, ისე თვით მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული პირის, და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან კერძო მოქალაქის შუამდგომლობით, გადააყენოს მეურვე თუ მზრუნველი მოვალეობის აღსრულებისაგან; ამასთანავე უკეთუ მეურვის ან მზრუნველის მოქმედება სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობის ნიშნებს შეიცავს, მის წინააღმდეგ უნდა აღიძრას დევნა სისხლის სამართლის წესით.

101. მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სათანადო სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოში; საჩივრის შეტანა შეუძლიან მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემულ პირს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებას და მესამე პირს.

102. საჩივარი ადგილობრივი სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს დადგენილებასა და განკარგულებაზე შეიტანება იმ წესით, რაც აღნიშნულია სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოთა დებულებაში.

თავი X.

სამეურვეო და სამზრუნველო საქმეთა წარმოება.

103. სამეურვეო და სამზრუნველო საქმეთა განხილვის დროს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო დაიბარებს განმცხადებელს, მომჩივანს, მეურვესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველს, საქმით დაინტერესებულ პირთ, მოწმეებს, ექსპერტებს და აგრეთვე, საჭიროების მიხედვით, მეურვეობასა თუ მზრუნველობაში მიცემულ ან მისაცემ პირს. განმცხადებლის, მომჩივნის ან სხვა პირის გამოუცხადებლობა, რომელთაც შეტყობინება მიიღეს, საქმის განხილვას ვერ დააბრკოლებს, უკეთუ ის ორგანო, რომელმაც აღნიშნული პირნი დაიბარა, მათ გამოცხადებას სავალდებულოდ არ სცნობს.

104. სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო გამოიტანს დადგენილებას მეურვეობის თუ მზრუნველობის დაწესებისა და მოსპობისა, მეურვის თუ მზრუნველის დანიშვნისა და დათხოვნისა, ქონების გასხვისებისათვის და დაგირავებისათვის ნებართვის მიცემისა, უფლებაზე უარის თქმისა და საჩივრების, ანგარიშების და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ. დადგენილება გამოეცხადება დაინტერესებულ პირთ.

105. უკეთუ მეურვეობასა და მზრუნველობაში მიცემულ პირს აქვს ქონება სხვა სამეურვეო ⁄ სამზრუნველო ორგანოს სამოქმედო რაიონში, ამ უკანასკნელს, საჭიროების მიხედვით, შეუძლიან დანიშნოს ცალკე მეურვე ზემოაღნიშნული ქონების გამგებლობისათვის.

106. მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების საჭიროების შესახებ (ამა კოდექსის 79 და 80 მუხ.) სამი დღის განმავლობაში უნდა მისცეს ცნობა: ა) სახლის სამოურაომ, სახლის მფლობელმა და მოიჯარადრემ, უკეთუ სახლში არის ისეთი პირი, რომელიც მეურვეობასა თუ მზრუნველობაში უნდა მიიცეს; ბ) მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ორგანომ, უკეთუ იგი გარდაცვალების რეგისტრაციის დროს შეიტყობს, რომ უპატრონოდ დარჩა არასრულწლოვანი, ან რომ არის მიგდებული ბავშვი თუ ობოლი; გ) სასამართლოს აღმასრულებელმა ან მისი ფუნქციის აღმასრულებელმა, უკეთუ იგი ქონების აწერის დროს აღმოაჩენს ისეთ პირს, რომელიც მეურვეობასა თუ მზრუნველობაში უნდა მიიცეს, ან და აღმოაჩენს, რომ საჭიროა ქონების დაცვა (მუხ. 79); დ) სასამართლო ორგანომ და მილიციამ, უკეთუ შეპყრობილ იქნა ან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ისეთ პირს, რომელიც პატრონობდა არასრულწლოვანს, რის გამოც ეს უკანასკნელი სათანადო მოვლის გარეშე რჩება; ე) იმ მოქალაქემ, რომელიც დაკავშირებულია მეურვეობასა თუ მზრუნველობაში მისაცემ პირთან ნათესაობით ან საერთო მეურნეობით.

შენიშვნა. სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს შეუძლიან მეურვეობა თუ მზრუნველობა თავისი თაოსნობითაც დააწესოს, უკეთუ შეიტყობს, რომ ასეთის დაწესება საჭიროა.

107. მეურვეობაში მიცემულის ქონება გაიყიდება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს დადგენილებისამებრ საჯარო ვაჭრობით ან და თავისუფალ ფასად, რაც, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, განსაზღვრულ იქნება ექსპერტების დასკვნის მიხედვით. საჯარო ვაჭრობა შემდგომ დამტკიცებულ უნდა იქნეს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს მიერ.

შენიშვნა. სოფლის საბჭოს უფლება აქვს სამეურვეო და სამზრუნველო საქმეებზე სოფლად დანიშნოს, მეურვის ან მზრუნველის წარდგენით, საჯარო ვაჭრობა, თუ საჭირო იქნება, მეურვეობაში მიცემული პირის ქო-

ნების გასაყიდად, ხოლო ამ ქონების ღირებულება 15 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთანავე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს და სათანადო შემთხვევაში დანიშნოს საჯარო ვაჭრობა მეურვეობასა თუ მზრუნველობაში მიცემული პირის 15 მანეთზე მეტი ღირებულების ქონების გასაყიდად.

108. მეურვეობაში მიცემულის ფულადი თანხა, ფასიანი ქაღალდები და ფასეულობა, გარდა იმ ფულისა, რაც საჭიროა მეურვეობაში მიცემულის შესანახი და მისი ქონების მოსავლელი მიმდინარე ხარჯებისათვის, შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებაში (შრომითს შემნახველ სალაროში, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და სხვ.) და არ შეიძლება ინახებოდეს თვით მეურვესთან.

109. მეურვე და მზრუნველი ყოველწლიურად, არა უგვიანეს თებერვლის 1-ისა, წარუდგენს მეურვეობისა და მზრუნველობის სათანადო ორგანოს წინა წლის წერილობით ანგარიშს. მეურვის თუ მზრუნველის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცნობებს არა მარტო მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული პირის ქონების გამგებლობისა, მისი შემოსავლისა და გაწეული ხარჯის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ როგორი იყო ზრუნვა მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემულის პიროვნებისა, მისი ჯანმრთელობისა, მეურვეობაში მიცემული არასრულწლოვანის აღზრდისა, მისი სწავლებისა და მისი მომზადებისათვის სასარგებლო მუშაობის საწარმოებლად და სხვ.

მეურვეობის თუ მზრუნველობის მოსპობისას მეურვე თუ მზრუნველი წარადგენს საერთო ანგარიშს ქონების გამგებლობის შესახებ.

შენიშვნა. ანგარიში ქონების გამგებლობის შესახებ უნდა წარადგინონ მშობლებმაც (მუხ. 81), უკეთუ მათ შვილს აქვს პირადად მისი კუთვნილი რაიმე ქონება.

110. ანგარიში არსებითად უნდა იქნეს შემოწმებული და, უკეთუ სწორედ იქნა ცნობილი, იგი დამტკიცდება; წინააღმდეგ შემთხვევაში მეურვეს ან მზრუნველს მოეთხოვება განმარტებისა და გამამართლებელი დოკუმენტების წარდგენა, ან და მიღებულ უნდა იქნეს სათანადო კანონიერი ღონისძიება (მუხ. 100).

111. მეურვეობა და მზრუნველობა მოისპობა:

ა) არასრულწლოვანისათვის—როდესაც იგი სრულწლოვანებას მიაღწევს, გარდა იმ შემთხვევისა, უკეთუ დადგენილი წესით შემოწმების შემდეგ საჭიროდ იქნება ცნობილი მეურვეობის განგრძობა მისი სულით ავადმყოფობის ან ჭკუანაკლებობის გამო, აგრეთვე, როდესაც არასრულწლოვანი დაქორწინდება;

ბ) სულით ავადმყოფისათვის—უკეთუ იგი დადგენილი წესისამებრ განკურნებულად იქნება ცნობილი;

გ) უკეთუ მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული გარდაიცვლება;

დ) ქონებისათვის—უკეთუ უგზო-უკვლოდ დაკარგული გამოცხადდება, ან ქონებას ჩაიბარებს საამისოდ რწმუნებამოსილი პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XI.

სულით ავათმყოფისა და ჭკუანაკლების შემოწმება.

112. უკეთუ იქნება საკმაო ცნობები, რომ საჭიროა სულით ავადმყოფს მეურვეობა დაენიშნოს, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო შეამოწმებინებს მას სპეციალურ კომისიას; კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ—საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ან მის მიერ საამისოდ რწმუნებამოსილი პირი და წევრად—არა ნაკლებ ორი ექიმისა, რომელთაგან ერთი ფსიქიატი უნდა იყოს.

113. კომისიის სხდომის დრო და ადგილი ეცნობება დაინტერესებულ პირთ და დაწესებულებათ და აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოს.

114. ამა კოდექსის 112 მუხლით გათვალისწინებულ კომისიას უფლება აქვს მოათავსოს შესამოწმებელი პირი სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში ვადით არა უმეტეს ორი თვისა ან თვალყური ადევნოს მას სახლში. კომისია, საჭიროების მიხედვით, გამოჰკითხავს ექიმს, რომელიც მკურნალობდა ავადმყოფს, და აგრეთვე იმ პირებს, ვის ჩვენებასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის.

115. შემოწმების შედეგის შესახებ შესდგება დაწვრილებითი აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა, ვინც კი შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო; აქტში უნდა აღინიშნოს—სულით ავადმყოფია შემოწმებული თუ ჭკუანაკლები და ესაჭიროება თუ არა მეურვე ან მზრუნველი.

116. შუამდგმლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ სულით ავადმყოფი განკურნებულად იქნეს ცნობილი, ან მას მეურვეობა მოეხსნას შეუძლიან, გარდა დაინტერესებული პირისა და დაწესებულებისა, აგრეთვე იმ სამკურნალო დაწესებულებასაც, სადაც ავადმყოფი იყო მოთავსებული განსაკურნავად, ან და თვით განკურნებულსაც.

117. სულით ავადმყოფის შემოწმება, იმ მიზნით, რათა ცნობილ იქნეს, რომ იგი განკურნებულია ან რომ იგი მეურვეობისა თუ მზრუნველობისაგან გასანთავისუფლებელია, მოხდება ამა კოდექსის 112—115 მუხლების წესისამებრ.

118. შემოწმებისათვის საჭირო ხარჯი გაღებულ უნდა იქნეს შემოწმებული პირის ქონებიდან, ხოლო, თუ მას ქონება არა აქვს, ხაზინის სახსარიდან.

შენიშვნა. ის, ვინც წინასწარი შეცნობით ტყუილ ცნობას მისცემს იმ მიზნით, რათა ესა თუ ის პირი სულით ავადმყოფად ან ჭკუანაკლებად იქნეს ცნობილი, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით; გარდა ამისა, მას გადახდება შემოწმებისათვის გაწეული ხარჯი იმ შემთხვევაში, უკეთუ შემოწმებული პირი ჯანსაღად იქნა ცნობილი.

119. საექიმო კომისიის დადგენილება ამა თუ იმ პირის სულით ავადმყოფად ან ჭკუანაკლებად ცნობის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირსა და დაწესებულებას შეუძლიან ერთი თვის განმავლობაში განასაჩივროს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიაც შედიან: ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), ბ) სამი ექიმი-ფსიქიატრი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დანიშვნით და გ) პროკურატურის წარმომადგენელი.

ჯარი მეოთხე.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა

თავი XII.

ზოგადი დებულებანი.

120. დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, სახელის და გვარის გამოცვლის და სხვ. ჩაწერა სწარმოებს სათანადო საქალაქო და სასოფლო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში.

შენიშვნა 1. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაეკისრება სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას და საკონსულოს.

შენიშვნა 2. დაბადების, გარდაცვალების და დაქორწინების ჩანაწერსა და განქორწინების ჩანანიშნს, რაც გაკეთდა წინანდელ სამეტრიკო დავთარში მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ფაქტიურად სამოქმედოდ შემოღებამდე, ისეთივე დამამტკიცებელი ძალა აქვს, როგორც მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს დავთრის ჩანაწერს.

121. წინა მუხლში აღნიშნული ჩაწერა და აგრეთვე ჩანაწერის პირველადი მოწმობის გაცემა უსასყიდლოა და განთავისუფლებულია ყოველგვარი გამოსაღებისაგან.

122. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანო აწარმოებს შემდეგ დავთრებს:

ა) დაბადების ჩასაწერ დავთარს;
ბ) გარდაცვალების ჩასაწერ დავთარს;
გ) ქორწინების ჩასაწერ დავთარს;
დ) განქორწინების ჩასაწერ დავთარს;
ე) შვილად აყვანის ჩასაწერ დავთარს;
ვ) სახელისა და გვარის გამოცვლის ჩასაწერ დავთარს.

ყველა აღნიშნული დავთარისათვის შესდგება ალფაბეტი.

შენიშვნა. სახელისა და გვარის გამოცვლის ჩასაწერ დავთრებს აწარმოებენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

123. წინა მუხლში აღნიშნული ყველა დავთარი წარმოებულ უნდა იქნეს ორ ცალად; ერთი ცალი მუდმივად ინახება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სათანადო ორგანოში—დაინტერესებულ პირთათვის და დაწესებულებათათვის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობებისა და მოწმობების გასაცემად, ხოლო მეორე ცალი წლის გასულს გაიგზავნება მოქალაქობრივი მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობის აქტების ჩამწერი ცენტრალური ორგანოს არქივში შესანახად და აგრეთვე ზემოაღნიშნული მიზნისათვის და სტატისტიკისათვის გამოსაყენებლად. წელიწადი ითვლება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ. ჩანაწერის ყოველგვარი შეცვლა მას შემდეგ, რაც სარეგისტრაციო დავთრის ერთი ცალი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ცენტრალურ ორგანოს გაეგზავნა, ადგილობრივმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულ ცენტრალურ ორგანოს, რისთვისაც უნდა გაუგზავნოს მას დავთრის იმ ადგილის ასლი, რომელიც შეცვლილ იქნა.

124. ყოველი ჩანაწერი, რაც შეტანილია სათანადო ჩასაწერ დავთარში, უნდა წაეკითხოს განმცხადებელს და მას ხელი უნდა მოაწეროს განმცხადებელმა, თუ მან წერა-კითხვა იცის, ხოლო თუ წერა-კითხვა არ იცის—წერა-კითხვის მცოდნე ორმა მოწმემ, და ორსავე შემთხვევაში—აქტის მქნელმა თანამდებობის პირმა.

125. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიიღოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთრის შემოწმებული ამონაწერი.

126. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთრის ჩანაწერის შესწორება, ეს შესწორება, უკეთუ დავა არ იქნება განცხადებული, მოხდება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ზემდგომი ორგანოს ნებართვით.

127. დაინტერესებულ პირს შეუძლიან დავთარში შეტანილი ჩანაწერის შესახებ აღძრას დავა სასამართლოს წესით; დავა-განცხადებული ჩანაწერის შესწორება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

128. საჩივარი ისეთი ფაქტების ჩაწერაზე უარის თქმის გამო, რაც შეტანილ უნდა იქნეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში, შეიტანება, რაიმე ვადის გარეშე, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ზემდგომ ორგანოში.

129. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი დავთრების წარმოება მოწესრიგდება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

თავი XIII.

ა. დაბადების ჩაწერა.

130. განცხადება დაბადების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ორი თვის ვადაზე დღიდან ბავშვის დაბადებისა.

131. განცხადება, შეტანილი აღნიშნული ვადის გადაცილებით, უნდა გატარდეს რეგისტრაციაში; ამასთანავე მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო, ჩაწერასთან ერთად, შეადგენს ოქმს იმ პირის შესახებ, რომელიც ვალდებული იყო ბავშვის დაბადება თავის დროზე განეცხადებინა, და გაგზავნის ამ ოქმს სათანადო საქალაქო ან სასოფლო საბჭოში აღნიშნული პირის დასაჯარიმებლად ამა კოდექსის 132 მუხლის წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

132. უკეთუ 130 მუხლით დაწესებული ვადა არაპატივსადები მიზეზით იქნა გადაცილებული, იმ პირს, ვინც ვალდებული იყო სათანადო განცხადება შეეტანა, ხოლო ვადის გადაცილებით შეიტანა, შეიძლება ადმინისტრატიული წესით დაედოს გადასახდელი:

ა) სოფლად—სასოფლო საბჭოს მიერ—ჯარიმა ერთ მანეთამდე, რაც, უკეთუ იგი გადახდილ არ იქნა, შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად ვადით ორ დღემდე, და

ბ) ქალაქად—ჯარიმა სამ მანეთამდე, რაც, უკეთუ იგი გადახდილ არ იქნა, შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად ვადით ხუთ დღემდე.

უკეთუ ხელისუფლების ორგანო ვადის გასვლის შემდეგ აღმოაჩენს, რომ განცხადება არ არის შეტანილი არაპატივსადები მიზეზით, იმ პირს, ვინც ვალდებული იყო განცხადება შეეტანა, დაედება:

ა) სოფლად—ჯარიმა ათ მანეთამდე, რაც შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად შვიდ დღემდე, და

ბ) ქალაქად—ჯარიმა ოცდახუთ მანეთამდე, რაც შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად ათ დღემდე.

133. უკეთუ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოსათვის შეუძლებელი ან და საძნელო იქნება იმის გამორკვევა, თუ როდის დაიბადა ბავშვი, დაბადება ჩაიწერება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დადგენილების მიხედვით.

134. ბავშვის დაბადება მშობლებმა ან ერთმა მათგანმა სიტყვიერად ან წერილობით უნდა განუცხადონ იმ ადგილის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს, სადაც ბავშვი დაიბადა, ან სადაც ცხოვრობს ერთ-ერთი მშობელი; ხოლო უკეთუ მშობლები ავად არიან, ან გარდაიცვალნენ, ან და მათ სხვა რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიანთ დაბადების განცხადება, ასეთი განცხადება შეიძლება შეიტანონ ნათესავებმა, ახლო მეზობლებმა, ან იმ პირმა, ვინც ზრუნავს ბავშვზე, ან და იმ დაწესებულების ადმინისტრაციამ, სადაც ბავშვის დაბადების დროს დედა იმყოფებოდა.

შენიშვნა. დაბადების ფაქტი დამოწმებულ უნდა იქნეს ექიმის მოწმობით ან ორი პირის, მათ შორის განმცხადებლის მიერ.

135. დაბადების ჩანაწერში უნდა აღინიშნოს: დაბადების დრო და ადგილი, ბავშვის სქესი, მიცემული სახელი და გვარი, აგრეთვე მშობელთა სახელი და გვარი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მოსაქმეობა, წლოვანება, ეროვნება და აგრეთვე ის, თუ ახლად შობილი მერამდენე შვილია ამ მშობლებისა.

136. უკეთუ დაბადებას დედა განაცხადებს, იგი ვალდებულია აღნიშნოს ბავშვის მამის სახელი და გვარი ან და განაცხადოს, რომ მას არ შეუძლიან ან არ სურს ამ ცნობების მიცემა.

137. განცხადება დაბადების შესახებ საჭიროა იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ბავშვი მკვდარი დაიბადა, რაც სათანადოდ აღინიშნება დაბადების ჩასაწერი დავთრის ცალკე გრაფაში.

138. სავალდებულოა ნაპოვნი ბავშვის ჩაწერაც, თანაც განცხადებას ამის შესახებ უნდა დაერთოს მილიციის ან, უკეთუ მილიცია არ არის, სასოფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს ოქმი, რომელშიაც აღნიშნულია, თუ როდის, სად და რა გარემოებაში იყო ბავშვი ნაპოვნი.

ბ. დაქორწინებისა და განქორწინების ჩაწერა.

139. იმ პირთ, რომელთაც სურთ თავისი ქორწინების რეგისტრაციაში გატარება, უნდა განუცხადონ ეს სიტყვიერად ან წერილობით იმ ადგილის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს, სადაც ერთ-ერთი განმცხადებელი ცხოვრობს.

140. ის პირნი, რომელთაც სურთ ქორწინების რეგისტრაცია, ვალდებული არიან განცხადებასთან ერთად წარადგინონ ვინაობისა და წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელწერილი იმის შესახებ, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული დაბრკოლება, და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მათ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კერძოდ, ვენერიული, სულით ან ტუბერკულოზით დაავადების მხრივ; როგორც ერთი, ისე მეორე ვალდებულია აგრეთვე აღნიშნოს, მერამდენეა მისთვის ეს ქორწინება და რამდენი ბავშვი ჰყავს.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში მექორწინეთა ვინაობა და წლოვანება შეიძლება დადასტურებულ იქნეს მოწმეთა ჩვენებით ან ყოველგვარი სხვა საშუალებით, რასაც კი თანამდებობის პირი საკმარისად სცნობს.

141. ქორწინების რეგისტრაცია მოხდება საჯაროდ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს სადგომში. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს გემზე—მგზავრობის დროს, არმიაში—ლაშქრობის დროს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას—უკეთუ ერთ-ერთი ან ორივე მექორწინე იქ არის მოთავსებული, და აგრეთვე სახლში—ავადმყოფობის დროს, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს ექიმის მოწმობით.

142. ქორწინების რეგისტრაციაში გამტარებელი თანამდებობის პირი ვალდებულია წაუკითხოს მოქორწინეთ ამა კოდექსის 4, 5 და 6 მუხლები და გააფრთხილოს, რომ ყალბი ცნობების მიცემისათვის ისინი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით. ამის შემდეგ ჩანაწერი წაიკითხება და მას ხელს მოაწერენ მექორწინენი და თანამდებობის პირი.

143. უკეთუ ქორწინების ჩანაწერის ხელისმოწერამდე ვინმე განაცხადებს, რომ არსებობს კანონიერი დაბრკოლება ამ ქორწინების რეგისტრაციისათვის, და მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო ამ განცხადებას პატივსადებად სცნობს, აქტის ჩამწერი თანამდებობის პირი ვალდებულია შეაჩეროს ჩაწერა და გამოარკვიოს, რამდენად სწორია ეს განცხადება.

144. ქორწინება უცხოელ და საბჭოთა მოქალაქეებს შორის და აგრეთვე უცხოელთა შორის, რაც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოხდება, რეგისტრაციაში გატარდება საერთო წესისამებრ.

შენიშვნა. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთ შეუძლიანთ თავისი ქორწინება რეგისტრაციაში გაატარონ, ამა კოდექსის 4—6 მუხლში გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებული პირობების დაცვით, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მომქმედ თავისი სახელმწიფოს საკონსულოში ან საელჩოში, იმ პირობით, უკეთუ სსრ კავშირის მოქალაქეთ ამგვარივე უფლება ექნებათ მინიჭებული სათანადო უცხო სახელმწიფოში.

145. უცხოელთა ქორწინება, რომელიც მოხდა სსრ კავშირის ფარგლების გარეთ სათანადო სახელმწიფოს კანონების თანახმად, ჩაითვლება მართებული წესით გაფორმებულ ქორწინებად.

146. განცხადება განქორწინების შესახებ შეიტანება წერილობით ან სიტყვიერად იმ ადგილის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, სადაც ერთ-ერთი მეუღლე ცხოვრობს.

147. უკეთუ განქორწინების დროს განმცხადებელს არ ექნება დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ქორწინება გატარებული იყო რეგისტრაციაში, იგი წარადგენს ამის შესახებ ხელწერილს, რომელშიაც აღნიშნავს ქორწინების რეგისტრაციის დროსა და ადგილს, და იკისრებს პასუხისმგებლობას მიცემული ცნობის სისწორისათვის.

148. უკეთუ განქორწინების შესახებ განცხადებას ერთ-ერთი მეუღლე შეიტანს, განქორწინების ჩანაწერის ასლი გაეგზავნება მეორე მეუღლეს იმ მისამართით, რომელსაც განმცხადებელი აღნიშნავს.

149. იმ დოკუმენტს, რომელიც მიეცა უცხოელს სათანადო სახელმწიფოს კანონისამებრ მომხდარი განქორწინების დასადასტურებლად, ისეთივე ძალა აქვს, როგორც ქორწინების მოსპობის ჩასაწერი დავთრის ამონაწერს.

3. გარდაცვალების ჩაწერა.

150. გარდაცვალების ჩასაწერ დავთარში ჩაიწერება როგორც გარდაცვალების შემთხვევა, ისე სასამართლოს მიერ ვისიმეს გარდაცვალებულად ცნობა.

151. გარდაცვალება განცხადებულ უნდა იქნეს სამი დღის განმავლობაში დღიდან გარდაცვალებისა, ხოლო ნაძალადევი სიკვდილის ან გვამის აღმოჩენის დროს—არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული ვადის დარღვევა გამოიწვევს ამა კოდექსის 132 მუხ. გათვალისწინებულ შედეგს.

152. გარდაცვალება უნდა განაცხადოს წერილობით ან სიტყვიერად იმ პირმა, რომელიც გარდაცვალებულთან ცხოვრობდა, ხოლო თუ ასეთი არ არის, სახლის სამოურაომ, მეზობლებმა, ან იმ დაწესებულების (საავადმყოფოს, შრომაგასწორების დაწესებულების და სხვ.) ადმინისტრაციამ, სადაც ესა თუ ის პირი გარდაიცვალა, ან მილიციამ.

153. გარდაცვალების შესახებ შეტანილ განცხადებაში აღინიშნება ყველა ცნობა, რაც კი განმცხადებელს მოეპოება გარდაცვალებულზე, კერძოდ, გარდაცვალებულის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, გარდაცვალების წელი, თვე და დღე, გარდაცვალების მიზეზი და აგრეთვე გარდაცვალების განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

154. გარდაცვალების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნეს ექიმის მოწმობით, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ადგილობრივი ხელისუფლების ან და ორი პირის მიერ.

155. განცხადებას გვამის აღმოჩენის შესახებ უნდა დაერთოს მილიციის ოქმი.

156. სასამართლოს დადგენილება ამა თუ იმ პირის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ (ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვალების ფაქტს სასამართლო ადასტურებს), ჩაიწერება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ქონებული ცნობით გარდაცვალებულად გამოცხადებული უკანასკნელად ცხოვრობდა, თანაც აღინიშნება სასამართლოს სახელწოდება და დადგენილების გამოტანის დრო.

დ. სხვა აქტების ჩაწერა.

157. სათანადო ორგანომ თავისი დადგენილების ასლი შვილად აყვანის, გვარის თუ სახელის გამოცვლის, დედობის თუ მამობის ცნობის ან დაბადების ჩანაწერის შესწორებისა თუ შევსების შესახებ ორი კვირის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს სათანადო ჩანაწერში აღნიშვნის გასაკეთებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი

კარი პირველი

ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა

თავები		მუხლები
I.	ზოგადი დებულებანი	1—3
II.	ქორწინების პირობები	4—6
III.	ქორწინების ბათილობა	7—13
IV.	მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი	14—32

კარი მეორე

მშობელთა და შვილთა და აგრეთვე ნათესავთა ურთიერთობა

V.	ზოგადი დებულებანი	33—40
VI.	ნათესავების უფლება-მოვალეობანი	41—62
VII.	შვილად აყვანა	63—77

კარი მესამე

მეურვეობა და მზრუნველობა

VIII.	ზოგადი დებულებანი მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ	78—92
IX.	მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი	93—102
X.	სამეურვეო და სამზრუნველო საქმეთა წარმოება	103—111
XI.	სულით ავადმყოფისა და ჭკუანაკლების შემოწმება	112—119

კარი მეოთხე

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა

XII.	ზოგადი დებულებანი	120—129
XIII.	ა. დაბადების ჩაწერა	130—138
	ბ. დაქორწინებისა და განქორწინების ჩაწერა	139—149
	გ. გარდაცვალების ჩაწერა	150—156
	დ. სხვა აქტების ჩაწერა	157

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. № 578. ტირაჟი 1.200